პროცედურა
შეფასება

ეგზ. №

	შეადგინა	შეამოწმა
სახელი, გვარი	კახაბერ სამარღანიშვილი	ტარიელ ადამია
თანამდებობა	ხარისხის მენეჯერი	ხელმძღვანელის მოადგილე
ხელმოწერა		
თარიღი	05.01.2023	05.01.2023

განახლებათა ცხრილი

№	თარიღი	ცვლილების აღწერა	შეთანხმებულია (ხელმოწერა)

1. გამოყენების სფერო

სერტიფიკაციის ორგანოს მიერ შემუშავებული შეფასების პროცედურის ძირითადი მიზანია წარმოდგენილი განაცხადის მოთხოვნების შესაბამისად პროდუქტის სერტიფიცირების ჩატარება შეფასების პროცედურის დაცვით.

2. პასუხისმგებლობა

პროცესის სწორად შესრულებაზე პასუხისმგებელია ორგანოს მიერ შერჩეული თანამშრომელი -ექსპერტი/აუდიტორი.

3. შეფასებისათვის მომზადება

სერტიფიკაციის ორგანოს მომსახურება ხელმისაწვდომია ყველა განმცხადებლისათვის, რომელთა საქმიანობაც ორგანოს სფეროს განეკუთვნება. რაც შეეხება პროდუქტის შეფასების კრიტერიუმებს, იგი შეესაბამება სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ დამტკიცებულ და მიმწოდებლის მიერ მითითებულ სტანდარტებში დადგნილ ტექნიკურ რეგლამენტს ან კრიტერიუმებს.

სერტიფიკაციის ორგანო სერტიფიკაციასთან დაკავშირებით (მოთხოვნები, შეფასებები, გადაწყვეტილებები) განიხილავს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც ეხება სერტიფიკაციის კონკრეტულ განსახილველ სფეროს.

სერტიფიკაციის ორგანო წარუდგენს განმცხადებლებს სერტიფიკაციის თითოეული სქემის შესაბამის შეფასებისა და სერტიფიკაციის პროცედურების დეტალურ, აქტუალიზებულ აღწერილობას, აგრეთვე, დოკუმენტაციას, რომელშიც მოცემულია სერტიფიკაციის მოთხოვნები, განმცხადებლის უფლებები და სერტიფიცირებული პროდუქტის მიმწოდებლის ვალდებულებები.

სერტიფიკაციის ორგანო განაცხადის ოფიციალური ფორმის შევსების დროს განმცხადებლისაგან ითხოვს წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- პროდუქტის დასახელება;
- განცხადება, რომ განმცხადებელი თანახმაა, შეასრულოს სერტიფიკაციის ყველა მოთხოვნა და წარადგინოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა პროდუქტის შეფასებისთვის.

- ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა, დასახელება, მისამართი, იურიდიული სტატუსი;
- სერტიფიკაციისათვის დანიშნული პროდუქტის, სერტიფიკაციის სისტემის სქემა და სტანადარტების ნუსხა, თუ ეს ცნობილია განმცხადებლისათვის.

4. სერტიფიკაციის ორგანოს მიერ შეფასების ჩატარება

სერტიფიკაციის ორგანო, სერიული წარმოების პროდუქტის სერტიფიკაციის დროს იყენებს მესამე სქემას (№3), რომელიც მოიცავს:

- სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტის/აუდიტორის მიერ წარმოების მდგომარეობის შეფასებას (ანალიზი) ;
- სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტის მიერ შეფასების აქტის გაფორმებას, ექსპერტის/აუდიტორის და წარმოების წარმომადგენელის ხელმოწერით;
- წარმოებიდან აღებული პროდუქტის ნიმუშების ლაბორატორიულ გამოცდას.

ექსპერტ/აუდიტორის მიერ შეფასების დროს დგინდება შეფასების პროგრამა, რომელიც მოიცავს:

- წარმოების განაცხადის განხილვას;
- სერტიფიცირებაზე გადაწყვეტილების მიღება
- წარმოების ზედამხედველობასთან შეხვედრა;
- წარმოების შეფასება ყველა პროცესის მიხედვით მისი მდგომარეობის შეფასება;
- პროდუქტის ნიმუშის აღება, აქტის შედგენა;
- წარმოების მდგომარეობის აქტის შედგენა და საწარმოს მუშაობის შეფასება;
- ამორებული ნიმუშების ლაბორატორიაში გადაცემა.

სერტიფიკაციის ორგანო პროდუქციის პარტიის შეფასების დროს იყენებს სქემას **№7 და №7ა.**

ლაბორატორიული გამოცდების და წარმოების მდგომარეობის შეფასების შედეგების საფუძველზე, პროდუქტის სერიულ წარმოებაზე შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის გადაწყვეტილებას იღებს სერტიფიკაციის ორგანო.

სერიული წარმოების შესაბამისობის სერტიფიკატის მოქმედების პერიოდში ამავე პროდუქტის კონკრეტულ პარტიაზე შესაბამისობის სერტიფიკატი გაიცემა 7ა სქემით – რომლის გაცემის საფუძველიც არის კონტროლის ყოველთვიური გამოცდის შედეგები და წარმოების ლაბორატორიის მიერ გაცემული გამოცდის შედეგები.

პროდუქტის პარტიაზე 7 სქემით შესაბამისობის სერტიფიკატი გაიცემა განმცხადებელთან (საწარმო, სავაჭრო ქსელი და სხვ.) აღებული ნიმუშების გამოცდის შედეგების საფუძველზე. პროდუქტის სერტიფიცირებისას პარტიად ითვლება ერთი თარიღით, ერთნაირ მოცულობასა და ტარაში ჩამოსხმული პროდუქტი. სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტი განცხადებული პროდუქტის პარტიიდან იღებს გამოსაცდელ ნიმუშს, რა დროსაც ხდება მთლიანი პარტიის იდენტიფიცირება და შესაბამისი აქტის გაფორმება, რომელსაც ხელს აწერს სერტიფიკაციის ორგანოს ესპერტი და განმცხადებელი, რომელიც ესწრებოდა პროდუქტის ნიმუშის აღების პროცედურას. საკონტროლო ნიმუშები რჩება როგორც განმცხადებელთან, ასევე სერტიფიკაციის ორგანოში.

განსაკუთრებულ შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შეაჩეროს ან შეწყვიტოს პროდუქტის სერტიფიკაციის სამუშაოები.

შეფასების კონკრეტული პროცესის ჩასატარებლად სერტიფიკაციის ორგანო ნიშნავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალს.

ორგანოში დანერგილი სიტემა გამორიცხავს იმ სპეციალისტების დანიშვნას, რომლებიც მონაწილეობდნენ ან იყვნენ დაქირავებული განმცხადებლის მიერ, რომელიც ასრულებდა ასეთი პროდუქტის მომსახურებას, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მიუკერძოებლობის პრინციპს. შეფასებისა პროცესში მონაწილე პერსონალი უზრუნველყოფილია შესაბამისი სამუშაო დოკუმენტაციით.

გავეცანი პროცედურას - GSO-QM--PR-A-20
- შეფასების პროცედურა

კავშირი „ასოციაცია გამა“-ს პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო		
თანამდებობა	**სახელი, გვარი**	**ხელმოწერა**
ხელმძღვანელი	ვახტანგ გვახარია	
ხელმძღვანელის მოადგილე	ტარიელ ადამია	
ხარისხის მენეჯერი/ექსპერტი	კახაბერ სამარღანიშვილი	
ექსპერტი	თეიმურაზ ურუშაძე	
ფინანსური მენეჯერი	ზურაბ მგალობლიშვილი	
სპეციალისტი	ნინო გელაშვილი	
სპეციალისტი	ნინო ქადაგიშვილი	